

**თეიმურაზ ხუციშვილი
ლევან წიქარიშვილი**

**პასილი ზარზელისა და აბუსერიძე ტბელის
თხზულებებში მოსსენიერული
რამდენიმე პეგლის იდენტიფიკაცია**

ყველის მონასტერი, ორლართისა და შუარტყლის ეკლესიები

თბილისი 2022

ბასილი ზარზმელის ქართულ აგიოგრაფიულ თხზულებაში „ცხოვ-რებაა ... სერაპიონისი“ (IX-X ს.) და **აბუსერიძე ტბელის** რელიგიურ-ისტორიულ თხზულებაში „ახალი სასწაული წმინდა მთავარ-მოწამისა გიორგისნი“ (XIII ს.) მოხსენიებულია ყველის მონასტერი, აგრეთვე, ორლართის წმინდა გიორგის, შუარტყლის იოანე ნათლის-მცემლისა და წმინდა გიორგის ეკლესიები, რომლებიც არ იყო იდენტიფიცირებული კონკრეტულ არქიტექტურულ ან არქეოლო-გიურ ძეგლებთან.

ავტორთა მიერ **თურქეთში** ჩატარებული საექსპედიციო და სხვა საკვლევი სამუშაოების შედეგად შესაძლებელი გახდა ისტორიული საქართველოს სამცხის ხსენებული მონასტრისა და ეკლესიების ადგილმდებარეობის დაზუსტება. განისაზღვრა გეოგრაფიული კო-ორდინატები და მიმართება თანამედროვე თურქულ დასახლებებ-თან, აღნერა ნაგებობათა დღევანდელი მდგომარეობა, მოხდა ფოტოფიქსაცია და მიახლოებითი დათარიღება.

მასალა საინტერესო და სასარგებლო იქნება როგორც რელი-გიურ-ისტორიული ლიტერატურისა და ქრისტიანული არქიტექტუ-რის მიმართ პროფესიული ინტერესის მქონე მკლევრებისთვის, ასევე ამ თემატიკით დაინტერესებული მკითხველისთვის.

რედაქტორები: თეიმურაზ ჯოვანა,
გიორგი ბაგრატიონი

გაწეული დახმარებისთვის და სასარგებლო რჩევებისთვის
მადლობას მოვახსენებთ დავით მაისურაძეს.

ყდის დიზაინი გიორგი ბაგრატიონისა

ყდაზე გამოსახულია შუარტყლის წმინდა გიორგის ეკლესიის კონქის შემორჩენილი ფრაგმენტი

© თ. ხუციშვილი, ლ. წიქარიშვილი, 2022

კავკასიის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2022

ISBN 978-9941-9820-3-3

ԹԵՐԱՊԻԱ

Իսկորոյլո Սայարտզելոս Սամցես մեարու նանոլո տպր-
յետմի գուբեռավուսնպղու նշմո նյլի մդեծարյօնի դա մոյ-
կայտվեծ տաճամեքրով տպրյետու արժաքանու (արդանու) პրո-
ցոնցու գուստու (գուբեռավու) րաօննու (Rosof/Ardahan). ცնո-
ծոլուա, րոմ լուգերագյուրամի իսկորոյլո յարտլու տպրյետու
գյուրուրու մածարյեծ մեարյեծ գյառ-կլարյետագ մոխենու-
յիա. գյառ-կլարյետու կալությունու սցըլլեծու կալեվաս դոյց
ենու իսկորու այցես. ծոլու ատմլեյլյեծու հագարյեծու ոն-
գյենսուրմա սամշառյեմա ամ րյցոննու ծեցրո չպնոծու արդյ-
ույայլու մեմութան սամեցնոյերո մոմոյլուրամի.

Մյա սայուպնյեծու յարտյուլ տեծյլեծու մոխենոյլու մոնասկրյեծու, յուլուսույնու դա սեցա նացեծոնեծու, րոմելտա նանոլու նյսգու ագցոլմդեծարյօնի դագցենոլո ար ոյու դա մեռլու րյցոննու ան եյօնու դոնցի ոյու ცնոծոլու. իս-
կորոյլու սամցես մեարյետաճա դայաբանուրյեծու ծասոլո
Քարծմելուս IX-X սայուպնյեծու ացուցրագույլո տեծյլեծու „Կեռարյեծա դա մոյալայոնա լմերտ-մեմոսուլուսա դա նեցարուսա մամուսա հյունուսա սյրապոննուս“ դա **Ածյայրուց գյելուս XIII** սայուպնու րյցուցուր-ուսկորոյլո տեծյլեծու „ախալնո սաս-
նայլնո նմոնդա մտազարմոննամուսա ցուրցունու“. ամ տեծյլեծու մոխենոյլու րամդենոմյ մոնասկրյու դա յուլուսու, րոմ-
լու պատու ար ոյու օդենթուցուրյեծու կոնյրյուլ արյությու-
թյուրյուլ ան արյուղուցուր մեցլուան. մատ մորուս: **Կալու**
մոնասկրյու, որդարտու նմոնդա ցուրցուս, ացրյետվա, մյար-
քպղուս ուանյ նատլուսմպեմլուսա դա նմոնդա ցուրցուս յուլու-
սույնու.

Ծասոլու Քարծմելուսա դա **Ածյայրուց գյելուս XIII** սասյուլոյերո
դա նմոնցոնեծու մոռցանյօնա սապյուրագլեծու օմոտաց, րոմ
մատու տեծյլեծու մնոնցնելուան իսկորոյլ նյարոյեծադա
միհնյուլո. Ծասոլու Քարծմելու դա **Ածյայրուց գյելու** կանոնո-
նուրյեծու արուա յարտյուլո մարտլմագուցեծու յուլուրո յուլուսուս
մոյր.

ჩვენ მიერ ჩატარებული საექსპედიციო და სხვა საკვლევი სამუშაოების შედეგად შესაძლებელი გახდა ხსენებული მონასტრისა და ეკლესიების ადგილმდებარეობის დაზუსტება. განისაზღვრა გეოგრაფიული კოორდინატები და მიმართება თანამედროვე თურქულ დასახლებებთან, აღინერა ნაგებობათა დღევანდელი მდგომარეობა, მოხდა ფოტოფიქსაცია და მიახლოებითი დათარიღება.

ეს შესაძლებელი გახდა კავკასიის უნივერსიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ტურისტული რესურსების კვლევის ცენტრის მიერ განხორციელებული საექსპედიციო სამუშაოების წარმოებით, რომლებიც ხორციელდებოდა 2003-2022 წლებში მკვლევართა ჯგუფის მიერ. ჯგუფში სხვადასხვა პერიოდში შედიოდნენ: თეიმურაზ ხუციშვილი (ხელმძღვანელი), დავით გაჩეჩილაძე, ანა გელაშვილი, ბებურ გოზალიშვილი, ანა იმედაშვილი, შალვა კოლუაშვილი, დავით მაისურაძე, ლევან წიქარიშვილი და ნანა ხუსკივაძე.

მასალა საინტერესო და სასარგებლო იქნება როგორც რელიგიურ-ისტორიული ლიტერატურისა და ქრისტიანული არქიტექტურის მიმართ პროფესიული ინტერესის მქონე მკლევრებისთვის, ასევე ამ თემატიკით დაინტერესებული მკითხველისთვის. ბასილი ზარზმელისა და აბუსერიძე ტბელის ხსენებული თხზულებების განხილვისა და სწავლებისას სასურველია გათვალისწინებული იყოს, რომ ცნობილი გახდა ყველის მონასტრის, აგრეთვე, ორლართისა და შუარტყელის ეკლესიების ზუსტი ადგილმდებარეობა და ნაგებობათა თანამედროვე მდგომარეობა.

**Teimuraz Khutsishvili
Levan Tsikarishvili**

**IDENTIFICATION OF A FEW MONUMENTS MENTIONED IN THE
WRITINGS OF BASILI ZARZMELI AND ABUSERIDZE TBELI
Kveli Monastery, Orgharti, and Shuartkli churches**

Christian culture is known to have always held a very important place in Western civilization, therefore Christian literature or architectural-archaeological monuments will always be the foundation of research and study.

Tao-Klarjeta is a part of historical southern Georgia (Meskheti) located in the territory of modern Turkey, in the basin of the Chorokhi River and the upper reaches of the Mtkvari Basin. Among them is Samtskhe, part of which is located in the Posof/Ardahan district of Ardahan (Artan) province of modern-day Turkey. Here we have identified and recorded the remains of Christian monuments, which appear in the Georgian religious-historical literature of the Middle Ages, however, their location was unknown, that is until now.

Several written works in Georgian and Russian languages were devoted to Basil Zarzmeli's 9th-10th century hagiographic work "Life ... of Serapion". There are a few Western publications as well (Peeters, P. (1917) In Analecta Bollandiana); (Rayfield, D. (2000)).

The religious-historical work of hymnographer, prose writer, and astronomer Abuserisdze Tbeli dated 1233 "Miracles of the Holy Archmartyr Giorgi ..." contains information about the history and life of the 13th century Southern Georgia and is of special interest. As far as we know, there is no information about these works in Western literature.

Several monasteries and churches are mentioned in the above writings, which were not identified with a specific architectural or archaeological monument. Among them are Kveli Monastery, St. George's Cathedral of Orgharti, Churches of John the Baptist, and St. George of Shuartkali.

Basili Zarzmeli and Abuserisdze Tbeli are canonized by the Georgian Orthodox Church.

Our expeditionary and other research works made it possible to specify the location of the mentioned monastery and churches. The geographical coordinates and relationship to modern Turkish settlements were determined, the current condition of the buildings was described, and photo fixation and approximate dating were also done.

This was made possible by the expeditionary works carried out by Caucasus University and the Research Center of Culture and Tourism Resources of Georgia, which were carried out by a group of researchers between 2003-2022. The group included: Teimuraz Khutsishvili (leader), Davit Gachechiladze, Ana Gelashvili, Bebur Gozalishvili, Ana Imedashvili, Shalva Koghuashvili, Davit Maisuradze, Levan Tsikarishvili, and Nana Khuskivadze.

The material will be of great value and especially useful to both people who are interested in Christian and Georgian culture and for specialists who have a professional interest in religious-historical literature and Christian architecture.

ყველის მონასტრის იდენტიფიკაცია

ყველის ციხე X საუკუნიდან ყველის საერისთავოს ცენტრი იყო, რომელსაც რეგიონის მმართველ ჯაყელ-ბოცოსძეთა საგვარეულოს წარმომადგენლები განაგებდნენ. ყველი არა-ერთგზისაა მოხსენიებული შუა საუკუნეების ლიტერატურაში, მათ შორის ქართლის ცხოვრებაში (ქართლის ცხოვრება. (1955); (ქართლის ცხოვრება. (1959): 260); (ქართლის ცხოვრება. (1973): 665); ქართულ ჰაგიოგრაფიაში (ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. (1963): 172-183).

ყველის ციხე კიულ-ის და ტიროკასტრონის სახით მოხსენიებულია ბიზანტიის კეისრის, კონსტანტინე პორფინოგენეტის (X ს.) კომპილაციურ თხზულებაში *De Administrando Imperio (Constantine Porphyrogenitus. De Administrando Imperio. (1967))*; (გეორგია. (1952): 276, 291). ტიროკასტრონი ს. ყაუხჩიშვილის მიხედვით წარმოადგენს ქართული „ყველის ციხის“ ბერძნულ თარგმანს (გეორგია. (1952): 276).

არაბი მხედართმთავრის აბულ-კასიმის სამხრეთ კავკასიაში შემოსევისას (914 წ.) ყველის ციხეში მრავალი ქრისტიანი დაიღუპა. ამ მოვლენებთანაა დაკავშირებული სტეფანე მტბევარის X საუკუნის აგიოგრაფიული თხზულება „წამებად წმიდისა მონამისა გობრონისი, რომელი განიყვანეს ყველის ციხით“. (ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. (1963): 172-183).

XVI საუკუნის თურქულ წერილობით წყაროში ტოპონიმი დაფიქსირებულია „სოფ. ყველი“-ს და „სოფ. ყველის მონასტერი“-ს სახით (გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი. (1958): 440, 441).

ისტორიული სამცხის სოფელ ყველის თანამედროვე თურქული სახელწოდებაა ქოლქო (Kolköy/ Posof/Ardahan).

სოფელ ყველის სიახლოვეს შემორჩენილია ისტორიიდან ცნობილი ყველის ციხის ფრაგმენტები. კოორდინატები: (41°26'29.67"N; 42°37'51.38"E). სიმაღლე ზ.დ. 1780 მ.

საინტერესო მასალას შეიცავს მეათე საუკუნეში ყველის ციხეში ნაწამები გობრონის საფლავის შესახებ ი. გვარამაძის საარქივო ჩანაწერები, რომელთა მიხედვითაც 1877 წელს გზის

მშენებლობისას კურცხანისა და ოცხის წყლის შესართავთან აღმოჩენილა წმ. მიქაელ-გობრონის ქვის საფლავი. ... „ნანილნი წმიდის ქვის კუბოთგან ამოიღეს და ძველი ეკლესიის გაღა-ვანში დამარხეს. ... საფლავის ქვა წარწერილი და ნათლოვანი სარქველით თბილისის მუზეუმის კარ წინ ჰყოფიან ...“



(გვარამაძე, ივ. [ვინძე მესხი]. (1909) კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ივ., გვარამაძის ხელნაწერი არქივი: H 2786: 31).

აქვე აღვინიშნავთ, რომ ზემოხსენებული საფლავის გობრონისადმი კუთვნილების საკითხი დამატებით კვლევას მოითხოვს.


ყველის მონასტრის შესახებ ცნობები გვხვდება ბასილი ზარზმელის IX-X საუკუნეების აგიოგრაფიულ თხზულებაში „ცხოვრებად და მოქალაქებად ღმერთ-შემოსილისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა სერაპიონისი“. ამ თხზულების მიხედვით სერაპიონის ძმამ იოანემ ყველის ხეობაში („ხევსა ყველისასა“)

ააშენა ოიანენმინდის (იოანე ნათლისმცემლის სახელობის) მონასტერი. და ვითარცა გარდავლეს მთა იგი არსიან წოდებული და მივიდეს წევსა ყველისასა ... უბრძანა წმინდამან სერაპიონ ძმასა თვესა [იოანეს], რათა ... აღაშენოს მონასტერი ... და ააშენა მონასტერი იგი ... და უწოდა სახელი სენია თვესი, რამეთუ იოვანე-წმინდა ეწოდების ადგილსა მას.“ (ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. (1963): 338, 339); (Peeters, P. (1917); (Reyfield, D. (2000): 50-56); (Памятники древнегрузинской агиографической литературы. (1956)).

ამრიგად, მოიპოვება ცნობები უშუალოდ ყველის მონასტრის შესახებ და ფიქსირდება ტოპონიმი „ყველის მონასტერი“, მაგრამ მონასტრის ზუსტი ადგილმდებარეობა ამ დრომდე უცნობი იყო.

თბილისში საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცულია ყველის ციხის ქვის სტელა-ჯვრის წარწერა, სადაც მოხსენიებულია იოანე ერისთავი. წარწერას რამდენიმე პუბლიკაცია მიეძღვნა: (ლაპიდარული წარწერები I: აღმო-სავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-X სს.). (1980): 134-136); (Такайшвили, Е. (1907): 6). ქართული წარწერების კორპუსის მიხედვით: „ყველის ციხე. სტელა-ჯვარი. IX ს. მოსახსენებელი იოვანე ერისთავისა. რუხი ფერის ქვის რვანახნაგოვანი სვეტი, ზომით: სიმაღლე – 170, დიამეტრი ზედა – 36, ქვედა – 45. სვეტი ზემოთკენ ვიწროვდება. ... სტელა წამოლებულია ყველის ციხიდან ... თბილისში საეკლესიო მუზეუმს ჩააბარა 1899 წ. ... მიხეილ ხერხეულიძემ. დათარიღება არაუგვიანეს X საუკუნისა.

წარწერა ასეა წაკითხული: „[ს(ა)ყ]დ/არი [ი]ო(ვა)ნე/ ერ(ის)/თ(ავის)ა/ ს(ახელით)ა ღმ(რთისად)/ თა/ ი(ოვანე) ე(რის)თ(ავისა)/ღ ესე/ ჯ(უარ)ი ჩ(უე)ნ/ ყვავ(ა)/ს ძე/თა/ ავ[ჰ]/მ(ა)რთ/ეთ!“



**(ლაპიდარული წარწერები I: აღმოსავლეთ და
სამხრეთ საქართველო (V-X სს.). (1980): 134-136).**

ე. თაყაიშვილის მიხედვით წარწერა XI საუკუნისაა. „იოანე ერისთავი ალბათ იოანე ჯაყულია, რომელიც გიორგი II-ს (1072-1089) დროს ცხოვრობდა“. (თაკაშვილი, ე. (1907): 6).

დ. კლდიაშვილის მიხედვით ყველის წარწერაში მოხსენიებული იოვანე ერისთავი აღისა წარწერაში მოხსენიებული ერისთავთ-ერისთავი იოანეს ბოცოს ძე „მატიანე ქართლისა“-ში 1046 წელის მოვლენებთან დაკავშირებული ივანეა. (კლდიაშვილი, დ. (1979): 86-88).

ბ. კუპატაძე ვარაუდობს, რომ „... ამ მონასტრის [ყველის მონასტრის] სანახებიდან უნდა იყოს ... თბილისში ... გადატანილი სტელა-ჯვარი ასომთავრული წარწერით.“ (კუპატაძე, ბ. (2020): 239).

2012 წლის მონაცემებით სოფელ ქოლქოის (Kolköy) სიახლოეს ფიქსირდება ადგილი, სადაც, სავარაუდოდ, ისტორიული წყაროებიდან ცნობილი ყველის მონასტერი მდებარეობდა ($41^{\circ}27'17.02''\text{N}$; $42^{\circ}37'49.25''\text{E}$). ზ. დ. 2040 მ.

ამ ადგილს ადგილობრივი მოსახლეობა მონასტერს უწოდებს (ზოგი ვერსიით – „კოლ მონასტირი“, ანუ „ყველის მონასტერი“). ადგილობრივ მცხოვრებთა თქმით, 1980-იან

წლებამდე, აյ შემორჩენილი ყოფილა ეკლესიის კედლები, რომლებიც ფერდობზე ტერასების გაკეთებისას დაანგრიეს. ამ ადგილზე ამჟამად საძირკვლების კვალია, თუმცა ზედაპირული დათვალიერებით შეუძლებელია ფორმების და ნაგებობების გეგმათა აღდგენა.



ხედი ყველის მონასტრიდან
ყველის ციხეზე.

(ტაო-კლარჯეთის ქეგლების 2012-2013 წლების საკვლევი ექსპედიციების
ანგარიშები. (2019): 26); (ხუციშვილი, თ., წიქარიშვილი, ლ. და კოლუაშვილი შ.
(2012-2013): 512, 513).

ამ მოსაზრებას ამჟარებს 2019 წელს მიკვლეული ახალი არტეფაქტი. ლაპიდარული წარწერა აბუსერის მოხსენიებით, სოფელ ყველის ზემო უბანში, აღმოსავლეთით, ძველი ქვის სახლის კედელში დავათიქსირეთ. მოხითალო ფერის ქვას ასომთავრული წარწერით (ქვის ზომებია: სიმაღლე – 1 მ, სიგანე – 0.5 მ; ქვის სრული ზომის გაგება შეუძლებელია მინაში დარჩენილი ნანილის გამ), ადგილმდებარეობის კოორდინატებია ($41^{\circ}26'41.68''\text{N}$; $42^{\circ}36'46.88''\text{E}$).

ეს ქვა, სავარაუდოდ, ეკლესიის არქიტრავის ქვაა. მიწის მოშორების შემდეგ მისი დიდი ნანილი გამოჩნდა. სახლის მესაკუთრის თქმით, ქვა მოტანილია სოფელ ყველთან მდებარე ეკლესიიდან, რომელიც ამჟამად განადგურებულია.

ქვას კიდეებში ამოკვეთილი ჩარჩო შემოუყვება. ცენტრში ორი თაღი და მესამის საწყისი ჩანს, მისი ნაწილი მიწითაა დაფარული. ორივე თაღედში ბოლოსკენ მკლავებგაფართო-ებული ჯვრებია, რომლებსაც ქვედა მკლავი წაგრძელებული აქვთ. თაღედს ქვემოთ ერთ სტრიქონად გასდევს ასომთავ-რული წარწერა. ქვის მარჯვნივ, თაღედის დასასრულს, ასომთავრული წარწერაა ორ სტრიქონად. სავარაუდოდ, წარწერის დასაწყისი მიწაშია მოქცეული. პირველადი მონა-ცემით განირჩევა 13-მდე გრაფემა. ქვასთან ახლოს ტაძრის სვეტის ნაწილი გდია, რომელიც სავარაუდოდ იმავე ეკლესიას უნდა ეკუთვნიდეს, რომელსაც წარწერიანი ქვა.

წარწერის პალეოგრაფიული ანალიზი შესრულებულია პროფესორ თეიმურაზ ჯოჯუას მიერ. წარწერა დათარი-ლებულია XI საუკუნის I ნახევრით.

- [...]-----]ჭვრი აბსერს თნ[...]
- ც~ვ(?) ჯ(?)[...]

პირველი სავარაუდო წაკითხვა:

„[...]-----ჲბ{ა}ვრი, აბ{უ}{სერ{ი}}ს თ{ა}ნ[ამეცხედრე], [დაი]/ც(ე)ვ(?) ჯ[უარო](?)“.

მეორე სავარაუდო წაკითხვა:

„[...]-----ჲბ{ა}ვრი, აბ{უ}{სერ{ი}}ს თ{ა}ნ[ა], [დაი]/ც(ე)ვ(?) ჯ[უარო](?)“.



ქვა მიწის ფენის მოშორებამდე



ქვა განმენდის შემდეგ

(ტაო-კლარჯეთის ძეგლების 2019 წლის საკვლევი ექსპედიციების ანგარიშები.
(2021): 101- 103).

ამრიგად, ბასილი ზარზმელის IX-X საუკუნეების აგიო-გრაფიულ თხზულებაში „ცხოვრებად და მოქალაქობად ღმერთ-შემოსილისა და ნეტარისა მამისა ჩუენისად სერაპიონისი“ მოხსენიებული ყველის მონასტერი მდებარეობდა ისტორიული სამცხის სოფელ ყველის მახლობლად. ამჟამად ამ სოფელს ქოლქო ეწოდება და მიკუთვნებულია თურქეთის არდაპანის (არტანის) პროვინციის ფოსოფის (ფოცხოვის) რაიონს (Kolköy/Posof/Ardahan).


ნამონასტრალის კოორდინატებია ($41^{\circ}27'17.02''\text{N}$; $42^{\circ}37'49.25''\text{E}$). ზღვის დონიდან 2040 მეტრზე მდებარეობდა. მონასტრის ნაგებობები ფერდობზე ტერასების გაკეთებისას დაანგრიეს. ამ ადგილზე ამჟამად ნაგებობების საძირკვლების კვალიღა ფიქსირდება.

ორლართის წმინდა გიორგის ტაძრის იღენტიფიკაცია

ორლართის წმინდა გიორგის ტაძარი მოხსენიებულია აბუ-სერიძე ტბელის რელიგიურ-ისტორიულ თხზულებაში „ახალ-ნი სასწაულნი წმინდა მთავარმონამისა გიორგისნი“ (XIII ს.):

„და ერთი ტაძარი სხუად ალაშენა [ბოლოკ-ბასილმა] სახელსავე ზედა წმიდისა მთავარმონამისა გიორგისა, გამოც-ხადებითავე მისითა და შენდობითა კაცთა თანაშენევნითა ... და მოკლებასა წორცისასა ირემიცა ნარმოუდგინა წმიდამან ბოლოკ-ბასილის და მის თანავე მუშავთა და მუნ ქმნილთა საკურველებათა მის ტაძრისა ალშენებისათა თანანარვჰე, რომელი არს მთასა ორლართასა.“ (აბუსერიძე ტბელი [„სას-წაულნი წმიდისა მთავარმონამისა გიორგისნი ...“]. (1941): 60, 61); (ქართული მწერლობა. (1988): 420).

ამავე თხზულების ტექსტში მოყვანილია რამდენიმე მიკრო-ტოპონიმი: ჯალე, ხიხა, პრასინაული და ჭარალი, რომლებიც გარკვეულ მინიშნებებს შეიცავს ორლართის ადგილმდებარე-ობის შესახებ.



აბუსერიძე ტბელის თხზულებაში მოხსენიებული ტოპონიმები და
სამოგზაურო არეალი.

ორლართის ტაძრის ლოკაცია შესაძლებელი იყო მხოლოდ რეგიონის დონეზე. წყაროებისა და ჩვენ მიერ ჩატარებული საკვლევი სამუშაოების შეჯერებით შესაძლებელი გახდა ორლართის წმინდა გიორგის ტაძრის ზუსტი ადგილმდებარების განსაზღვრა.

ისტორიული სამცხის სოფელ ალის სამხრეთით, დაახლოებით 6 კილომეტრზე, მივაკვლიერ ნანგრევებს, რომლებიც ჩვენი ვარაუდით ორლართის ტაძრის ნაშთებია. სოფელს დღეს ალქო ჰევია და მდებარეობს თანამედროვე თურქეთის არდაპანის (არტანის) პროვინციის ფოსოფის (ფოცხოვის) რაიონში (Alköy/Posof/Ardahan).

ი. გვარამაძე ამ ადგილს „ორლართას მთას“ უწოდებს, თუმცა მასზე მდებარე ნაგებობებზე არაფერს ამჟობს. (ცინმე მესხი [გვარამაძე, ივ.]. (1882) N 169). მთა, რუსულენოვან ლიტერატურაში „უგლარის“ სახელწოდებითაცაა ცნობილი (Подробная карта Кавказского края (1869-1914)). ამ ადგილს სოფელ ალის ადგილობრივი მოსახლეობა „კიზკილისა“-ს უწოდებს, რაც ქალთა ეკლესიას ნიშნავს. მთა კიზკილისა მოხსენიებულია პ. უვაროვას მასალებშიც (Уварова, П. (1894): 96).

2012 წლის მონაცემებით ორლართას მთის თხემზე, ვრცელ არეალზე მიმობნეული დუღაბისა და გათლილი ქვების ფრაგმენტები. განირჩევა აღმოსავლეთისაკენ ორიენტირებული კონქის ფორმის დუღაბიანი კონსტრუქცია (კონქის მიწისზედა სიმაღლეა 1.1 მ, სიგანე – 2.2 მ). კოორდინატები ($41^{\circ}26'48.89''\text{N}$; $42^{\circ}46'48.78''\text{E}$), სიმაღლე ზ.დ. 2467 მ.

გეოგრაფიული არეალის, ტოპონიმიკისა და სხვა წყაროების შეჯერებით შესაძლებელი დახდა აქ მდებარე ნანგრევების აბუსერიძე ტბელის თხზულებაში აღწერილი ბოლო ბასილის მიერ აგებული ორლართას ტაძართან გაიგივება.



(ტაო-კლარჯეთის ძეგლების 2012-2013 წლების საკვლევი ექსპედიციების
ანგარიშები. (2019): 17).

ორლართის ტაძრის ჩვენეულ იდენტიფიკაციას ამყარებს მიკვლეული ორნამენტების სავარაუდო დათარიღებაც, რომელიც ეკუთვნის ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორ დიმიტ-რი თუმანიშვილს.

ამრიგად, აბუსერიძე ტბელის XIII საუკუნის თხზულებაში „ახალნი სასწაულნი წმინდა მთავარმოწამისა გიორგისნი“ მოხსენიებული ორლართას წმინდა გიორგის ტაძარი მდებარეობდა ისტორიული სამცხის სოფელ ალის სამხრეთით, დაახლოებით 6 კილომეტრზე. სოფელ ალს დღეს ალქოი ჰქვია და მიეკუთვნება თანამედროვე თურქეთის არდაპანის (არტანის) პროვინციის ფოსოფის (ფოცხოვის) რაიონს (Alköy/Posof/Ardahan).

შუარტყალში იოანე ნათლისმცემლისა და ციხე გიორგის ეპლესიეპის იძენტიფიკაცია

შუარტყალში აშენებულ ეკლესიებზე და მათთან დაკავშირებულ მოვლენებზე მოგვითხრობენ ბასილი ზარზმელის IX-X საუკუნეების თხზულება „ცხოვრება და მოქალაქობა ღმერთ-შემოსილისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა სერაპიონისი“ და აბუსერიძე ტბელის 1233 წლით დათარიღებული რელიგიურ-ისტორიული თხზულება „სასწაული წმინდა მთავარმონამისა გიორგისნი და ანდერძი ... მთქუმელისაა.“

ბასილი ზარზმელის „ცხოვრება და სერაპიონისი“-ს ტექსტიდან ირკვევა, რომ შუარტყალთანაა დაკავშირებული გიორგი ეპისკოპოსი, რომელიც ოპიზას აღზრდილა და შემდგომში მაწყვერელი ეპისკოპოსი გამხდარა: „... ვიტყვა უკუე გიორგის ეპისკოპოსსა-მაწყუერელსა, რომელი-იგი აღმოსცენდა წევისაგან შუარტყლისა მშობელთაგან წარჩინებულთა და ღმრთის მოშიშთა, ხოლო აღიზარდა იგი განთქმულსა მას უდაბნოსა ოპიზას. ... ხოლო წელსა მეოთხესა ამათ საქმეთასა განაბრნებინვა ღმერთმან დიდი იგი მღდელთ-მოძღუარი გიორგი შუარტყლელი, რომელმან დაიპყრა საყდარი აწყურისა[ღ]“.

ასევე ვგებულობთ, რომ მიქაელ ზარზმელს წინამძღვრის თანაშემწედ „ხელოვნებით განთქმული“ აჭარელი კალატოზი ბოლოკ-ბასილი ჰყოლია „... თანა-შემწედ აქუნდა გალატოზ სახელით შუარტყლელი. და ესე ორნივე იყვნეს მოძღუარ და მასწავლელ სიმრავლესა მუშაკთასა.“ (ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. (1963): 335, 340, 344); (ვაჩნაძე, ნ. (1975): 171-177).

ჰიმნოგრაფის, პროზაიკოსისა და ასტრონომის აბუსერიძე ტბელის 1233 წლის თხზულება „სასწაული წმინდა მთავარმონამისა გიორგისნი ...“ შეიცავს ცნობებს XIII საუკუნის სამხრეთ საქართველოს ისტორიისა და ყოფა-ცხოვრების შესახებ. ტექსტის მიხედვით სოფელ შუარტყალში, ორი ეკლესიაა. ერთი წმინდა გიორგის სახელობისა, რომელსაც აგებს ბოლოკ ბასილი და მეორე იოანე ნათლისმცემლის ეკლესიაა, რომელსაც ბასილი თხზულების ერთი ეპიზოდის მიხედვით გზად გაივლის. ჩანს, ეს ორი ეკლესია მდინარის

საპირისპირო მხარეს მდებარეობდა და მათ შორის მანძილი დაახლოებით 600 მეტრი [„ოთხი უტევანი“] იყო (აბუსერისძე ტბელი [„სასნაული წმიდისა მთავარმონამისა გიორგისნი ...“]. (1941)); (ქართული მწერლობა (1988): 419).

ამავე ოხზულების ტექსტში მოყვანილია რამდენიმე მიკრო-ტოპონიმი: ჯალე, ხიხა, პრასინაული და ჭარალი. შექს-პედიციონ საკვლევი სამუშაოების მიმდინარეობისას შესაძლებელი გახდა ამ ტოპონიმების დაზუსტება, რამაც შუარტყელის ადგილმდებარეობის განსაზღვრის საშუალება მოგვცა. (იხ. ზემოთ მოყვანილი სქემა).

„... და იყო ესრეთ, რამეთუ ესე ბასილი იყო ქვითხურო. და გამოეცხადა დიდი იგი ახოვანი და ჰრეკუ: „ნუ გაქუნს მოცალება მოსარენლისათვის სიგლახავისა შენისა და აღმიშენე ტაძარი წელთა მიერ ოდენ შენთა.“

... და მო-რად-ინია ბასილი სახიდ თვისსა, იწყო მუშაკობად საკურველისა ამის ტაძრისა...

... ხოლო კაზმასა შინა ქვისასა, ადგილსა და უბანოსა, რომელსა ეწოდების ჯალე, გამოუჩნდა საოცარი სახითა საზარელისა გველისაითა, რომელსა ესხნეს თვალნი დიდისა დარავისა ოდენი. და ფრიად შეძრნუნებულსა ნეტარსა ბასილის გამოუჩნდა წმიდაი იგი ახოვანი, მთავარი მონამეთაი, და უღალადა ხმაყოფით ნუგეშინისცემაი და ჰრევა: – ნუ შეძრნუნებულ ხარ ჰონი ბასილი! საოცარი ესე ხიხათა ზურგით მომავალ არს, მუნითცა ჩემ მიერვე ოტებული მთასა, რომელსა ჰრევიან ჰრასინაული, და მგზავრი არს ექსორიობით. და იტყვოდა: – ვხედავონ წარსულსა აღმოსავალით კერძო. და გარდაეფარა თვალთაგან ჩემთა, რაუამს გარდავლო მთაი იგი ჭარალისაი ...

მთასა მას, რომელსა ზედა არს ჯუარი სახელსა ზედა წმიდისა ზაქარიასასა, და ამას მთასა სახელიცა იგივე ზაქარ-წმიდა ეწოდების, მუნ შეჰკაზმა ქვად დიდი და ... დადვა მარხილსა მარტომან ... მეყსეულად მოექსნეს მარწილნი უღლეულთა ... და მსწრაფლ შთამოვლო საზარელი იგი და მყიფარი ჩამოლმართი [ქვამ]. და არცა სიმრავლესა ქვათასა ეკვეთა და არცა წინა-კერძო დახუდომილსა ხევნარსა მის ქუეშე მყოფსა მაღნარისსა, რომელსა დასასრულსა, სივაკესა

შინა, წარვლო კარი ეკლესიისა, რომელ არს სახელსა ზედა წმიდისა წინამორბედისა და ნათლისმცემლისსა. და მას ქუეშეთცა განვლო წყალი და ყოვლადვე უვნებელმან ქვითურთ შევლო შეღმართიცა დიდი. ხოლო ნეტარი ბასილი წარვიდა უმეტეს ოთხისა უტევანისა და მიაწია ქვად ... და დადვა ბალაპვარად კარსა დასავალისასა ...

და ესრეთ მარტომან სრულ ქმნა მით კარაულითა და უღლეულითა ტაძარი ესე საკურველი.

... ესრეთ განასრულა ტაძარი ესე საკურველი წმიდისა და დიდებულისა მოწამისა გიორგისი მარტოებით.“ (აბუსერისძე ტბელი [„სასწაულნი წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისნი ...“]. (1941): 56-62).

აბუსერიძე ტბელის ტექსტებში მოყვანილი ეპიზოდის შეჯერებით ტოპონიმიკასთან შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მოქმედება ფოცხოვის ხეობასა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ვითარდება

შუარტყლის მდებარეობა აქამდე მხოლოდ რაიონის დონეზე, ფოცხოვისწყლის ზედა წელის მიდამოებში ივარაუდებოდა. შუარტყალს მიმსგავსებული ტოპონიმი დაფიქსირებულია XVI საუკუნის თურქულ წერილობით წყაროში გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში „შუარწყალის“ სახით (გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი). (1958): 439). ტოპონიმი „შუარჩხალის“ და „შუვარცკალის“ სახით დაფიქსირებულია საქართველოს ცენტრალურ ისტორიულ არქივში (სცია): ფ. 78, ს. 6 და ფ. 77, ს. 6. კონსტანტინე იდიშარიას 1917 წლის საგაზიეთო სტატიის მიხედვით „ლამიანიდან ს. შუა-წყალია ...“ (კ. მარტვილელი [ოდიშარია, კონსტანტინე]. (1917), № 220, გვ. 4). კ. სადოვსკის 1884 წლის ექსპედიციის მასალებში მოხსენიებულია სოფელი „შუაცკალი“. (Садовский, К. (1886): 37). 2017 წელს გამოცემულ ტაო-კლარჯეთის ისტორიისა და კულტურის ძეგლების კატალოგში ნაგებობა მოხსენიებულია როგორც სოფელ შუაწყალის ეკლესია. (ტაო-კლარჯეთი: ისტორიისა და კულტურის ძეგლები; კატალოგი. (2017): 232).

ამჟამად ეს ტერიტორია თურქეთში მდებარე თანამედროვე სოფელი გონულაჩანია (Gönülaçan/Posof /Ardahan).

2012 წლის მონაცემებით თანამედროვე სოფელ გონულაჩანის (Gönülaçan) დასავლეთით 1.7 კილომეტრზე, ტყეში, თხილნარში, მდინარე ლრმანისნულის მარცხენა სანაპიროზე, მდინარიდან დაახლოებით 200 მეტრ მანძილზე მივაკვლიერ ეკლესიის ფრაგმენტებს ($41^{\circ}33'54.60''\text{N}$; $42^{\circ}42'19.67''\text{E}$). ზ.დ. 1767 მ.

შუარტყალის ნაგებობა ძლიერაა დაზიანებული. შედარებით უკეთაა შენარჩუნებული ტაძრის ჩრდილო-აღმოსავლეთი კუთხე, რომლის კედლების სიმაღლე 5 მეტრამდეა. შემორჩენილია ჩრდილოეთის ნიში, რომელსაც აღმოსავლეთით სარკმლი ჰქონია. დარჩენილია სარკმლის ზედა ნირთხლი და ნიშის კამარის მოპირკეთება. ტაძრის მიდამოებში მრავლადაა დუღაბიანი კედლებისა და ქვების ფრაგმენტები.

აბუსერიძე ტბელის თხზულების ეპიზოდებისა და ტოპონიმიკის შეჯერებით ლრმანისნულის ხეობაში მდებარე ეკლესიის ნაგებობის ნაშთებთან, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს ნაგებობა თხზულებაში მოხსენიებული ნათლისმცემლის ეკლესია.



(ტაო-კლარჯეთის ძეგლების 2012-2013 წლების საკვლევი ექსპედიციების ანგარიშები. (2019): 27, 28).

ამავე სოფელში ითანე ნათლისმცემლის ეკლესიის სიახლოვეს, მდინარის მეორე მხარეს შემორჩენილია დუღაბის ფრაგმენტები ($41^{\circ}33'45.39''N$; $42^{\circ}42'18.56''E$). აბუსერიძე ტბელის თხზულების მიხედვით, სოფელ შუარტყალში წმინდა გიორგის ეკლესია ნათლისმცემლის სახელობის ეკლესიასთან ახლოს, მდინარის პირას მდებარეობს. ბასილი წმ. გიორგის ეკლესიას აგებს „ადგილსა ზედა მწყურნებსა (წყლიანი) და მიწასა ზედა ლბილსა“, ასეთი ადგილი ჩვენ მიერ დაფიქსირებული ეკლესიდან დაახლოებით „ოთხ უტევანში“ და მდინარის მოპირდაპირე მხარეს მდებარეობს. ამ ადგილში არის ძველი ნამოსახლარებიც, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა შუარტყალის ძველ სოფელს უწოდებს. ეკლესიის მდებარეობა შეესაბამება თხზულებაში აღნერილ რელიეფს: „შთამოვლო საზარელი იგი და მყიფარი ჩამოლმართი. და არცა სიმრავლესა ქვათასა ეკვეთა და არცა წინა კერძო დახვდომილსა ხევნარსა მას ქვეშე მყოფსა მაღნარისსა, რომელსა დასასრულსა, სივაკესა შინა, ნარვლო კარი ეკლესიისაი“. (აბუსერიძე ტბელი [„სასწაული წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისნი ...“]. (1941)); (ქართული მწერლობა (1988): 419).

ამდენად, სავარაუდოა, რომ აქ მდებარეობდა წმინდა გიორგის ეკლესია. ამის თქმის საფუძველს თხზულებაში აღნერილი რელიეფი და შემორჩენილი ტოპონიმიკა იძლევა.



სოფელი შუარტყალი



ქვის საპადო და ეკლესიის
მდებარეობა



ეკლესიის შემორჩენილი ფრაგმენტები



ჩრდილოეთის ნიში



კამარის მოპირკეთება

(ტაო-კლარჯეთის ძეგლების 2019 წლის საკვლევი ექსპედიციების ანგარიშები. (2021): 105).

შუარტყალთანაა დაკავშირებული რამდენიმე საყურადღებო არტეფაქტი. სოფლის ცენტრში, ჯამეს დასავლეთ ფასადის ზედა ნაწილში, ჩატანებულია ორი ქვა ასომთავრული წარწერით ($41^{\circ}34'01.13''N$; $42^{\circ}43'38.65''E$). როგორც ჩანს ქვა გატეხილია ორ ნაწილად და კედელშიც სხვადასხვა ადგილას არის ჩატანებული. პირველადი მონაცემით განირჩევა 8 გრაფემა, ქარაგმებით. ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმაციით წარწერიანი ქვა სწორედ ზემოთ აღწერილ ტაძარს უხდა ეკუთვნოდეს. ეკლესია და წარწერა არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.

წარწერის პალეოგრაფიული ანალიზი შესრულებულია პროფესორ თემურაზ ჯოვანას მიერ.

I ქვის ფილა: ქ~ე შ~ე]

II ქვის ფილა: [პა~პი „ქ(რისტ)ე, შ(ეიწყალ)ე პაპი“.



ეკლესიის ადგილი



ჯამეს დასავლეთ ფასადი
წარწერიანი ქვებით



ასომთავრულწარწერიანი ქვის ორი ფრაგმენტი
(ტაო-კლარჯეთის ძეგლების 2019 წლის საკულტო ექსპედიციების
ანგარიშები. (2021):106, 107).

2019 წლის მონაცემებით სოფელ შუარტყალში, ადგილობრივი მოსახლის ეზოში, ინახება ორნამენტიანი ქვის ფრაგმენტი (41°34'01.91"N; 42°43'35.92"E), რომელზეც გამოსახულია დავითის ვარსკვლავი და რამდენიმე ორნამენტი. მოსახლეობის გადმოცემით ის სოფელ შუარტყლის საზაფხულო სადგომებისკენ მიმავალი გზის გაყვანის დროს უპოვიათ.



(ტაო-კლარჯეთის ძეგლების 2019 წლის საკვლევი ექსპედიციების ანგარიშები.
(2021): 107).

ამრიგად, ბასილი ზარზმელის აგიოგრაფიული თხზულების „ცხოვრება ა... სერაპიონისი“-ს (IX-X ს.) და აბუსერიძე ტბელის რელიგიურ-ისტორიული თხზულების „სასწაული წმიდისა გიორგისი“-ს (1233 წ.) ტექსტის ეპიზოდების შეჯერებით ტოპონიმიკასა და ახლადმიკვლეულ არქიტექტურულ-არქეოლოგიურ არტეფაქტებთან, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ღრმანისწყლის ხეობაში მდებარე თანამედროვე თურქეთის არდაპანის (არტანის) პროვინციის ფოსოფის (ფოსოვის) რაიონის სოფელ გონულაჩანის (Gönülaçan/Posof /Ardahan) მიდამოებში მდებარეობდა შუარტყელის ოიანე ნათლისმცემლისა და წმინდა გიორგის ეკლესიები.

ეს მოსაზრება ჰიპოთეზის დონეზე დაფიქსირებული იყო ტაო-კლარჯეთისადმი მიძღვნილ IV საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც გაიმართა 2016 წლის 21-24 სექტემბერს. (ხუციშვილი, თ. და იმედაშვილი, ა. (2016): 58-59); (Khutsishvili, T. and Imedashvili, A. (2016): 167, 168).

დასკვნა: ბასილი ზარზმელის IX-X საუკუნეების აგიოგრა-ფიულ თხზულებაში „ცხოვრება და მოქალაქობა ღმერთ-შემოსილისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა სერაპიონისი“ და აბუსერიძე ტბელის 1233 წლის რელიგიურ-ისტორიულ თხზუ-ლებაში „ახალი სასწაული წმინდა მთავარმოწამისა გიორ-გისნი“ მოხსენიებული ყველის მონასტერი, ორლართას წმინდა გიორგის ტაძარი, შუარტყელის იოანე ნათლისმცემლისა და წმინდა გიორგის ეკლესიები იდენტიფიცირებულია. განსაზ-ღვრულია ამ ძეგლების გეოგრაფიული კოორდინატები და მიმართება თანამედროვე თურქულ დასახლებებთან, აღნე-რილია ნაგებობათა დღევანდელი მდგომარეობა.

გამოყენებული ლიტერატურა

აბუსერისძე ტბელი [„სასწაული წმიდისა მთავარმონამისა გიორგისნი ...“]. (1941) ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერისძეთა საგვარეულო მატიანე, 1233 წლ. ტექსტი, გამოსცა ლ. მუსხელიშვილმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია – ისტორიის ინსტიტუტი, საქართველოს ისტორიის ორიგინალური წყაროები, 4. ისტორიკოსები, თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

გვარამაძე, ივ. [ვინმე მესხი]. (1909) კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ივ., გვარამაძის ხელნაწერი არქივი: H 2785, H 2786, H 2787.

გეორგიკა. (1952) ბიზანტიული მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტომი მეოთხე, ნაკვეთი II, ბერძნული ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი. (1958) წიგნი 3. ჩამოკვლევა: 1. ხელნაწერის აღწერილობა, 2. შენიშვნები ტექსტის გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის (გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ს. ჯიქიამ), რედ. გ. წერეთელი, თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა და სტამბა.

ვინმე მესხი [გვარამაძე, ივ.]. (1882) „არხეოლოგიური მოგზაურობა“, გაზ. დროება, № 168, 13 აგვისტო; № 169, 14 აგვისტო.

კლდიაშვილი, დ. (1979) „ჯაყელ-ბოცოსძეთა საგვარეულოს ისტორიისთვის“, ისტორიის, არქეოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, N3, თბილისი.

კ. მარტვილელი [ოდიშარია, კონსტანტინე]. (1917) „არტანის მხარეში“, გაზ. საქართველო, № 210-222. [გაზეთებში 210,

212 და 214 ნომრების ნაცვლად შეცდომითაა მითითებული 230, 232 და 234 ნომრები].

კუპატაძე, ბ. (2020) მერქს ციხე, კრებულში: ტაო-კლარჯეთის ციხე-სიმაგრები. (2020) | ტომი (მტკვრის აუზის ფორტი-ფიკაციები), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი, თბილისი.

ლაპიდარული წარწერები I: აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-X სს.). (1980) შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა 6. შოშიაშვილმა, სერია: საქართველოს ისტორიის წყაროები 19, ეპიგრაფიკული ძეგლები და ხელნაწერთა მინაწერები IV, ქართული წარწერების კორპუსი I, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, „მეცნიერება“.

ტაო-კლარჯეთი: ისტორიისა და კულტურის ძეგლები; კატალოგი. (2017) ისტორიისა და კულტურის ძეგლები, ხელნაწერები და ისტორიული დოკუმენტები, პერსონალია, პუნქტები, ბიბლიოგრაფია. პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი და რედაქტორი ბ. კუდავა, ავტორ-შემდგენლები: 6. ბაგაური, ზ. ბატიაშვილი, ი. ბერიძე, ბ. კუდავა, ნ. ულენტი, გ. საითიძე და 6. ხიზანიშვილი. თბილისი, კორწელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, სამხრეთ კავკასიისა და ანატოლიის კვლევის ცენტრი.

ტაო-კლარჯეთის ციხე-სიმაგრები. (2020) | ტომი (მტკვრის აუზის ფორტი-ფიკაციები), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი, თბილისი.

ტაო-კლარჯეთის ძეგლების 2012-2013 წლების საკვლევი ექსპედიციების ანგარიშები. (2019) ანგარიშები მოამზადეს: თ. ხუციშვილმა, ბ. გოზალიშვილმა, ა. იმედაშვილმა, შ. კოლუაშვილმა, დ. მაისურაძემ. ლ. წიქარიშვილმა, თბილისი, კავკასიის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ტაო-კლარჯეთის ძეგლების 2018 წლის საკვლევი ექსპედიციების ანგარიშები. (2019) ანგარიშები მოამზადეს: თ. ხუცი-

შვილმა, ბ. გოზალიშვილმა, ა. იმედაშვილმა, შ. კოლუაშვილმა, დ. მაისურაძემ, ლ. წიქარიშვილმა, ნ. ხუსკივაძებ, თბილისი, კავკასიის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ტაო-კლარჯეთის ძეგლების 2019 წლის საკვლევი ექსპედიციების ანგარიშები. (2021) ექსპედიციის ანგარიშები მოამზადეს: თ. ხუციშვილმა, ბ. გოზალიშვილმა, ა. იმედაშვილმა, შ. კოლუაშვილმა, დ. მაისურაძემ და ლ. წიქარიშვილმა. თბილისი, კავკასიის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ქართლის ცხოვრება. (1955) ტომი I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, სახელგამი. [ქართლის ცხოვრების ბიბლიოგრაფიისთვის იხ. (ქართლის ცხოვრება, 2008)].

ქართლის ცხოვრება. (1959) ტომი II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, საბჭოთა საქართველო. [ქართლის ცხოვრების ბიბლიოგრაფიისთვის იხ. (ქართლის ცხოვრება, 2008)].

ქართლის ცხოვრება. (1973) ტომი IV, ბატონიშვილი ვახუშტი, აღნერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, „საბჭოთა საქართველო“. [ქართლის ცხოვრების ბიბლიოგრაფიისთვის იხ. (ქართლის ცხოვრება, 2008)].

ქართული მწერლობა. (1988) ოცდაათ ტომად, ტომი მესამე, შემდგ. ა. ბაქრაძე და რ. თვარაძე, ტომის რედ. ვ. როდონაია, თბილისი, „ნაკადული“.

ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. (1963) წიგნი I, (V-X სს.). დასახეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევმა და ც. ჯლამაიამ ილ. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქტორობით, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

ხუციშვილი, თ., წიქარიშვილი, ლ. და კოლუაშვილი, შ. (2012-2013) „ქართული კულტურის ძეგლების საკვლევი ექსპედი-

ციები თურქეთის არტაანის რეგიონში 2011-2012 წლებში, ექსპედიციის „ანგარიში“, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები, XII- XIII, მთ. რედ. ვ. კიკნაძე, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი.

Constantine Porphyrogenitus [Κωνσταντῖνος Πορφυρογέννητος]. De Administrando Imperio. (1967) Moravcsik, Gyula, ed., Dumbarton Oaks, Washington.

Peeters, P. (1917) II. Vie de S. Georges l'Hagiorite (pp. 69-159); III. Vie de S. Sérapion de Zarzma (pp. 159-207); IV. Vie de S. Grégoire de Khandztha (pp. 207-309), In: Analecta Bollandiana (Revue critique d'hagiographie), Bruxelles, vol. XXXVI.

Reyfield, D. (2000) The Literature of Georgia, A History, Second edition, Routledge, London and New York.

Памятники древнегрузинской агиографической литературы. (1956) Перевод, исследования и примечания К. Кекелидзе, Тбилиси.

Подробная карта Кавказского края (1869-1914) с прилежащими частями Турции и Персии в масштабе 5 верст в дюйме. – 1:210 000; 2,1 км в 1 см. – Факсимильное издание 1869-1914 гг.

Садовский, К. (1886) „Посховский участок Ардаганского округа, Карской области”, в кн. Сборник Материалов для Описания Местностей и Племен Кавказа, Выпуск V, Тифлис, Издание Управления Кавказского Учебного Округа.

Такайшвили, Е. (1907) [„Разбор грузинских надписей на камнях, доставленных из Поцховского участка в Церковный Музей Грузинского Экзархата“], Археологические экскурсии, разыскания и заметки, Выпуск III, Отд. отт. из II вып., Известий Кавк. Отд. Имп. Моск. Арх. Общ., Тифлис, Типография К.П. Козловского.

Уварова, П. (1894) „Посховский участок“, в кн. Материалы по Археологии Кавказа, собранные экспедициями Императорского Московского Археологического Общества, снаряженными на Высочайше дарованные средства, выпуск IV, под ред. графини Уваровой, Христианские Памятники, Москва.

**Teimuraz Khutsishvili
Levan Tsikarishvili**

**IDENTIFICATION OF A FEW MONUMENTS MENTIONED
IN THE WRITINGS OF BASILI ZARZMELI
AND ABUSERIDZE TBELI**

Kveli Monastery, Orgharti, and Shuartkli churches